ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №01-06/08

დაბა ქედა, **23 ივნისი, 2023 წელი**

სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე
სხდომა დამთავრდა: 14:45 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 16.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/08 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

23 ივნისი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 ივნისის №01-06/08 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 ივნისის №01-06/08 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ ფრაქციის სახელით თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძეს 2023 წლის 30 ივნისის საკრებულოს მორიგ სხდომაზე მოეწვიათ მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს სხდომაზე მერის დასწრებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აცნობებდა მერს ამის შესახებ.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95.95231672-95, 16.06.2023 წელი) და წარმოადგინა ცვლილებათა რეესტრი შემდეგი სახით:

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი				
№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
1	01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	1,046,636	
2	05 02 06 01	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი	254,600	
3	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	300	
4		ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	30,000	
ჯამი			1,331,536	

№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	24,000	300 ლარი 5% დაზუსტება, 24000 შტატგარეშეს ხელფასის 10%, მუხლებს შორის თანხის გადატანა: შრომის ანაზღ-დან სოციალურში 3439,16 ლარი, საქონელი და მომსახურებიდან სხვა ხარჯში 4500 ლარი
2	01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	16,000	საქონელი და მომსახურება 15 500 ლარი (12000 შტატგარეშე, 3500 ავტომანქანის რემონტი), სხვა ხარჯი 500 ლარი.
3	01 02 08	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა	2,300	

4	01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	0	მუხლების დაზუსტება (სხვა ხარჯიდან სუბსიდიაში 21910 ლარი, გრანტებში 4350 ლარი)
5	01 02 01	სარეზერვო ფონდი	90,000	5% დაზუსტების დამტკიცება (40000 ლარი)
6	02 01 04	მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება	2,000	გაიზარდა მარშუტების რაოდენობა
7	02 01 05	ბურღვა აფეთქება	0	მუხლების დაზუსტება (სხვა ხარჯიდან საქონელი და მომსახურებაში 10000 ლარი)
8	02 03 01 02	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	5,000	საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილია 115000 ლარზე, (მუხლების დაზუსტება არაფინანსურიდან სხვა კაპიტალურში 110000 ლარი) სხვა ხარჯი
9	02 03 02 01	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	0	მუხლების დაზუსტება (არაფინანსურიდან სხვა კაპიტალურში 20000 ლარი)
10	02 03 03 03	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა	826,200	
11	02 02 01 04	სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა	9,100	
12	06 02 09	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებლი სახლით შეცვლის პროგრამა	6,800	
13	02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	20,000	ღვინის ფესტივალი 20000 ლარი;
14	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: შრომის ანაზღ-დან სოციალურში 3 200 ლარი
15	05 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	53,936	მივლინება ქვეყნის გარეთ 19500, მივლინება-900, ინტერნეტი-900, თანამდ.სარ-8136, შტატგ-10000, სპორ.ღონისძ-12500, ავტ.მიმდ-რემონტი-2000. მუხლებს შორის თანხის გადატანა: საქონელი და მომსახურებიდან სხვა ხარჯში 11245 ლარი

16	05 02 01	ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი	37,150	მივლინება ქვეყნის შიგნით 2000, მივლინება ქვეყნის გარეთ 18500 (ბეთლემი-რუმინეთში), ლამინირების აპარატი 400 ლარი, მცირეფასიანი ინვენტარი 2870 ლარი, ავტ.მიმდ-რემონტი-3500, არაფინანსური აქტივები (კომპიუტერები) 9880 ლარი.
17	05 02 02	ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა	19,800	17 600 ლარი შტატგარეშეს ანაზღაურება, 2200 ლარი ღონისძიების ხარჯი(1500 ტრანპ. 700 სხვა ხარჯი)
18	05 02 03	ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი	6,250	გეგელიძეების მუზეუმის ელ.ქსელში ჩართვა 2000, არაფინანსური აქტივები (ნესტის შემწოვი აპარატი) 3750 ლარი, ცეცხლმაქრების 500 ლარი.
19	03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი	60,000	30000 ლარი სუბსიდია (სპეცტექნიკის რემონტი), 30 000 ლარი ნაგვის შემგროვებელი კონტეინერებისა და გარე-განათების ბოძების ძეძენა (30-30 ცალი)
20	06 01 01	ამბულატორიული მომსახურება	8,500	ავტომობილებზე სასბურავის შეძენა (9 ნივა, 1 უაზი)
21	06 01 05	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფა	23,000	
22	06 02 13	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	121,500	
23	06 02 15	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების თანადაფინანსება	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: სოციალურიდან სუბსიდიაში 77350 ლარი
ასიგნებების ჯამი			1,331,536	X
ს ხ ვ ა ო ბ ა			0	X

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, როდემდე გაგრძელდებოდა მოქალაქეებზე ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლებიც 40 000 ლარის პროგრამაში არიან ჩართული.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, დანდალოს ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის გაგრძელების შემდეგ, თუ იქნებოდა შესაძლებელი წინა ტენდერის დროს დასაქმებული მუშახელის თანხის ანაზღაურება.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ რამოდენიმე კითხვა დაუსვა მომხსენებელს:

1. მუნიციპალიტეტის კაპიტალური ტრანსფერით რომელი პროექტების განხორციელება იგეგმებოდა;
2. მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, შარაბიძეების ოჯახში მეწყრული პროცესების შედეგად საყრდენი კედლის ჩამოსხმის თაობაზე;
3. სოფელ ვაიოში მეწყრულმა პროცესებმა დააზიანა ტეტემაძეების უბანში საავტომობილო გზა და საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორია, ამიტომ აღნიშნული ტერიტორიაზე საჭირო იყო გზის რეაბილიტაცია და საყრდენი კედლის ჩამოსხმა.

კითხვებთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ ეკომიგრანტების რაოდენობა მუნიციპალიტეტში ამ დროისათვის 100-მდე იყო, სადაც გაერთიანებული იყო სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეები. კერძოდ მოქალაქეებმა, რომელთა საცხოვრებელი ფართების გამაგრება იქნა შესაძლებელი, უარი განაცხადეს ფინანსურ დახმარებაზე და გამაგრებითი სამუშაოების პროცესი მიმდინარეობს, ხოლო ის მოქალაქეები რომელთა საცხოვრებელი ფართები არ ექვემდებარება გამაგრებით სამუშაოებს გასული არიან ქირით, 40 000 ათასიანი დაფინანსების პროგრამიდან თანხის გადახდამდე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერს როლანდ ბერიძეს ჰქონდა შეხვედრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, სადაც განიხილეს მუნიციპალიტეტში არსებული ეკომიგრანტების პრობლემები და უახლოეს მომავალში იგეგმება სიღრმისეული შესწავლა თითოეული მათგანის საცხოვრებელი ფართების, რათა სამომავლოდ აცილებულ იქნას ფატალური შედეგები. რაც შეეხება, დანდალოს ადმინისტრაციული შენობის რესტავრაციის საკითხს გამოცხადდება ახალი ტენდერი, თუმცა ძველი ტენდერის დროს მუშახელზე გასაცემი თანხის ანაზღაურება ახალ კონტრაქტორ ორგანიზაციას ვერ მოეთხოვება. აქვე განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს მხოლოდ სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა შეუძლია ამ ეტაპზე. რაც შეეხება, მუნიციპალიტეტის კაპიტალური ტრანსფერს, იგეგმება მუნიციპალიტეტში ექსკავატორ-დამტვირთველის შეძენა, ნაგავმზიდის შეძენა, დანდალოს ადმინისტრაციული შენობის რემონტის დასრულება, მთებში ელექტროენერგიის მიწოდების საპროექტოს დაგეგმარება/შესრულება, პროექტის შეძენა ქედის კულტურის სახლისთვის, რადგანაც სამომავლოდ იგეგმება მაშტაბური რესტავრაცია ქედის კულტურის სახლის.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი -3 (შორენა კარანაძე, ირაკლი მახარაძე და დავით სირაბიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №5, 23.06.2023 წელი).

2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა სულიკო ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95231674-95, 16.06.2023 წელი) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საჯარო მოხელეთა განსაზღვრულ

თანამდებობრივი სარგოში, რანგებსა და კატეგორიებში ცვლილების შეტანა, კერძოდ:

განხორციელდა 4 (ოთხი) საშტატო ერთეულის კატეგორიის ცვლილება მათ შორის:

- იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში განსაზღვრული არის 2 (ორი) საშტატო ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, რომელიც გაიხლიჩა პირველი და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტად იურიდიულ საკითხებში, შესაბამისად განხორციელდა კატეგორიისა და სარგოს ცვლილება, მაგრამ საშტატო რაოდენობა ამ ნაწილში უცვლელი დარჩა.

- სახაზინო განყოფილებას დაემატა 1 საშტატო ერთეული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხაზინის საკითხებში სადაც იგეგმება კარიერული განვითარების გზით მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხაზინის საკითხებში გადაყვანა, შესაბამისად ამ პროცესის დასრულების შემდეგ მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი გაუქმდება.

- ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილებას დაემატა 1 საშტატო ერთეული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში სადაც იგეგმება კარიერული განვითარების გზით მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში გადაყვანა, შესაბამისად ამ პროცესის დასრულების შემდეგ მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი გაუქმდება.

- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებას დაემატა 1 საშტატო ერთეული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში სადაც იგეგმება კარიერული განვითარების გზით მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში გადაყვანა, შესაბამისად ამ პროცესის დასრულების შემდეგ მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ორი შტატიდან ერთი შტატი გაუქმდება.

აქედან გამომდინარე 1 ვაკანტურ საშტატო ერთეულს ეცვლება მხოლოდ კატეგორია, ასევე ამ ეტაპზე საშტატო ერთეულის რაოდენობა 3 ერთეულით გაიზრდება, ხოლო კარიერული განვითარების გზით განსაზღვრული პროცესების დასრულების შემდეგ საშტატო ერთეული რაოდენობა კვლავ 3 ერთეულით შემცირდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 3 (შორენა კარანაძე, ირაკლი მახარაძე და დავით სირაბიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №6, 23.06.2023 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95.95231642-95, 13.06.2023 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ფოკუს ჯგუფების სამუშაო შეხვედრების თაობაზე, კერძოდ თუ რა ინტენსივობით ხდებოდა შეხვედრები მოსახლეობათან და თუ იქნებოდა შესაძლებელი აღნიშნულ შეხვედრებზე მისი დასწრება.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების კომისია ატარებს მსგავსი ტიპის სამუშაო შეხვედრებს გარკვეული გეგმით და თუ იქნებოდა მისი სურვილი თავისუფლად შეეძლო დასწრებოდა ამ შეხვედრებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 3 (შორენა კარანაძე, ირაკლი მახარაძე და დავით სირაბიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №g-95.95231181, 28.04.2023 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 14:45 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**